



COUNCIL OF EUROPE    CONSEIL DE L'EUROPE

სტრასბურგი, 10 სექტემბერი, 2010

სეეკ (2010) 1

**მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია  
(სეეკ)**

სახელმძღვანელო  
სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების გაზომვის კვლევისათვის  
ევროპის საბჭოს ქვეყნებში

სახელმძღვანელო მომზადებულია სეეკ - ს მიერ  
ანგარიში მომზადებულია  
ჟან პოლ ჟენის, საჯარო პროკურორი, პარიზის სააპელაციო სასამართლო, ასოცირებული  
პროფესორი, პოიტერსის უნივერსიტეტი  
და  
ჰელენ ჟორი, სწავლებისა და კვლევების ასპირანტი, ვერსალის უნივერსიტეტი

მიღებულია სეეკ-ს მიერ მის მე 15 პლენარულ შეხვედაზე  
(სტრასბურგი, 9 – 10 სექტემბერი, 2010)

## შესავალი

მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო შეიქმნა მართლმსაჯულების ხარისხზე მომუშავე სექსამუშაო ჯგუფის წინადადების საფუძველზე. სახელმძღვანელო უნდა მოხმარებოდა სასამართლო ხელისუფლებას და ცალკეულ სასამართლოებს, რომელთაც სურთ სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების შესაფასებლად კვლევების ჩატარება. ამ ინსტრუმენტში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ასახული წევრი ქვეყნების გამოცდილება და კონკრეტული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.

„საკონტროლო სია“, რომელიც სექს-მ შეიმუშავა და მიიღო *მართლმსაჯულების და სასამართლოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით* 2008 წლის ივლისში, იყო დოკუმენტი, რომელმაც არსებითად განსაზღვრა ამ დოკუმენტის შინაარსი.

ხარისხის კონროლზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კმაყოფილების კვლევების ჩატარება. თუ დასაწყისიდანვე მხედველობაში მივიღებთ მოლოდინებს, მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებრივი კმაყოფილების განმსაზღვრელი არის სერვისის მოხმარება და არა სასამართლო სისტემის შიდა საქმიანობა.

კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგიები თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ტედენციების გამოვლენა და ორდინალური საზოგადოებრივი აზრის კვლევები (როგორც არის ევროპის კავშირის „ევრობარომეტრი“), ხარისხობრივი კვლევები მომხმარებელთა ჯგუფებში, და უშუალოდ მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება.

### ეროვნული საზოგადოებრივი აზრის კვლევები მართლმსაჯულებასა და მის საქმიანობაზე

ამ ტიპის კვლევებს გააჩნიათ რამდენიმე განმასხვავებელი თვისება. კვლევა შეიძლება იყოს რეგულარული და ასევე დაუგეგმავი, შესაძლოა ჩატარდეს ერთი კონკრეტული მაღალ რეზონანსული საქმის შედეგების გასაზომად. რეგულარული და / ან დეტალური კვლევები ტარდება იუსტიციის სამინისტროს, სასამართლოს საბჭოების და საზოგადოებრივი ფონდების მიერ. დაუგეგმავი საზოგადოებრივი აზრის კვლევები ტარდება კერძო ინსტიტუტების მიერ, კონკრეტული დონორების დაფინანსებით და მოთხოვნით, ძირითადად მედია ორგანიზაციების. ამ კვლევებში ძირითადად იზომება სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ხარისხი, ბუნებრივია შედეგები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და საბოლოოდ, ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ზოგადად ნდობას სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, როგორც არის განათლების სისტემა, ჯანდაცვის სისტემა და პოლიცია. ითვლება, რომ რეგულარული კვლევა უფრო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა, იმის გათვალისწინებით რომ მოიცავს უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფებს და დაფუძნებულია კონკრეტულ კითხვარებზე, რაც დიდი ცვლილებების შედეგის გაზომვისათვის ბევრად შესაფერისი ინსტრუმენტია.

სასამართლო სისტემის კრიტიკა, უკვე ორი საუკუნეა ძირითადად ერთსა და იმავე საკითხებს ეხება (გაჭიანურება, ხარჯები, არათანმიმდევრულობა, ბუნდოვანება, და სხვა). სხვადასხვა სახის სკანდალები სასამართლო სისტემაში კი ყოველთვის აისახება კვლევებში.

ამ დოკუმენტში განიხილება ის რეგულარული კვლევები, რომლებიც სანდო ინდიკატორებზე დაყრდნობით შესაძლებელს ხდის სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ეფექტიანად გაზომვას, განმარტავს ცვლილებებს და ნათელს ჰყენს საზოგადოების პრიორიტეტებს სასამართლოს ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის გასატარებელ რეფორმებთან მიმართებით. საბოლოოდ, სექს, არ ეყრდნობა რაოდენობრივ კვლევებს, ( საზოგადოების აღქმა მართლმსაჯულებაზე) არამედ გაცილებით კომპლექსურ კვლევებს, რომელიც კონკრეტულად სასამართლოსთან შეხებაში მყოფი ადამიანების აზრს მათ უკუკავშირს ეფუძვნება.

### სასამართლოს მომხმარებელთა ეროვნული (ქვეყნის მასშტაბის) და ადგილობრივი კვლევები

**მომხმარებელთა რამდენიმე კატეგორია შეიძლება გამოიყოს:**

- **მოქალაქეები, რომელთაც შეხება ჰქონდათ სასამართლოსთან** სხვადასხვა მიზეზით: სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც დაზარალებულს ან ბრალდებულს, მოწმეებს ან ნაფიც მსაჯულთა წევრს; სამოქალაქო საქმეებზე - მოსარეხელე და მოპასუხეებს. სასამართლოს მუშაობის ხარისხის გაზომვისას მნიშვნელოვანია საზოგადოების აღქმა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით: პროცედურათა ხანგრძლივობა და ხარჯები, ასევე მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაში უშუალოდ ჩართული პროფესიონალების - მოსამართლეების, ადვოკატების და სასამართლოს აპარატის აზრი. ყველა ასპექტი უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან გამოკითხვებს ბუნებრივია ან წაგებული ან მოგებული აქვთ სამოქალაქო საქმეები. განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებენ სისხლის სამართლის საქმეში არსებული დაზარალებულნი.
- **იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები**, ორი სხვადასხვა ქვეკატეგორიით:
  - პროფესიონალები, რომლებიც მართლმსაჯულებას ემსახურებიან სახელმწიფო სექტორში, როგორც არის: **მოსამართლეები, პროკურორები, და სასამართლოს და პროკურატურის სხვა თანამშრომლები.**
  - პროფესიონალები, რომლებიც ძირითად სასამართლოს პარტნიორებს წარმოადგენენ - **ადვოკატები.**

ასევე შესაძლებელია ჩატარდეს კვლევები, რომელიც ისეთ კონკრეტულ პროფესიონალებს გამოიკითხავს, როგორც არიან: აღმასრულებლები, ნოტარიუსები, სასამართლოს ექსპერტი მოწმეები და თარჯიმნები, ასევე საჯარო სექტორის თანამშრომლები და ასოციაციები, რომლებიც პირდაპირ სასამართლოსთან მუშაობენ სასამართლოს დადგენილებების და გადაწყვეტილებების აღსრულებაზე (სოციალური მუშაკები, პოლიცია, პრობაციის თანამშრომლები, ციხის თანამშრომლები, და სხვა). ამგვარი სოციოლოგიური კვლევები, ინერვიუებზე და კითხვარებზე დაყრდნობით, შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც კვლევის ძირითადი საკითხი, ასევე დამატებითი საკითხი სხვა უფრო მასშტაბურ კვლევაში, სადაც მთლიანი სისტემის მუშაობა შეფასდება.

**მეთოდები და მოსალოდნელი შედეგები**

რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევების დროს სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება: ადგილზე დაკვირვება, ინტერვიუები, პირისპირ ან სატელეფონო გამოკითხვა, და „სარკისებრი გამოკითხვა“.

მეთოდი და სიხშირე დამოკიდებულია:

- **ამოცანებზე** (მომხმარებელთა კმაყოფილების მონიტორინგი, სასამართლოს საქმიანობის გაზომვა, სერვისის მიწოდების გაუმჯობესება, სასამართლო სისტემის რეფორმირება, და სხვა).
- **კომპეტენცია** (სერვისის სფერო, ერთი სასამართლო, ერთდროულად რამდენიმე სასამართლო, რამდენიმე სასამართლო ერთ გეოგრაფიულ უბანში, და სხვა.);
- **სამიზნე ჯგუფები:** სასამართლოს მომხმარებლები, (ერთი კონკრეტული სასამართლოს მომხმარებლები, სასამართლოს მომხმარებელთა კონკრეტული კატეგორია, როგორც არის დაზარალებული, გაყრის პროცედურაში ჩართული პირები, და ა.შ); პროფესიონალები (ზემოთ მოყვანილი კატეგორიები);
- კვლევის დამფინანსებლისათვის ხელმისაწვდომი ადამიანური, ტექნიკური და საბიუჯეტო რესურსების მიხედვით.

ამ სახელმძღვანელოს საშუალებით, სექ - ს სურს შემოგვთავაზოს დაბალ ბიუჯეტისანი და დამკვეციებული „ძირითადი პროდუქტი“, რომლის გამოყენებაც ძალიან იოლია და ფოკუსირებულია სასამართლოს ფუნქციონირების ფუნდამენტურ პრობლემებზე. განზრახულია, ამ ინსტრუმენტის ყველა წევრი ქვეყნისათვის მიწოდება, ხოლო მისი გამოყენება ქვეყნებს არ უნდა დაუჯდეთ ძვირი.

მეორე დონის საჭიროება შეიძლება ეხებოდეს უფრო მრავალფუნქციურ პროდუქტს, რომელიც შეიძლება მოერგოს კონკრეტულ სასამართლო კულტურას, არსებული პრობლემებისა და ხელმისაწვდომი თანხის მიხედვით.

შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია, რამდენიმე დონიანი სამოდელო პროდუქტი, რომელსაც თან ერთვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. მთავარ მიზანი კი არის ისეთი ფუნქციონალური ინსტრუმენტის დანერგვა, რომელიც მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამ სტანდარტული მოდელის ადაპტირება შესაძლებელია საჭიოებების, რესურსების და პრიორიტეტების მიხედვით.

არსებული ევროპული სისტემების შესახებ უფრო დეტალური პრეზენტაციის და ანალიზის გაცნობის მსურველებთ, შეუძლიათ იხილონ დეტალური ანგარიში ჟან-პოლ-ჟანის და ჰელენ ჟორის დოკუმენტი სექც 2012  
[www.coe.int/CEPEJ](http://www.coe.int/CEPEJ).

## 1. ადგილობრივ დონეზე ჩასატარებელი სამომხმარებლო კვლევის შედეგა

ხარისხის შეფასებისათვის სრულყოფილი მიდგომის გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია დავიწყოთ ხარისხობრივი კვლევა ინდივიდუალური ინტერვიუებით, ჯგუფების შეხვედრები ან ადგილზე დაკვირვება, რასაც თან ერთვის კორესპონდენციის და საჩივრების ანალიზი (მაგალითი: პოლონეთის ომბუდსმენი<sup>1</sup>, გრასეს სასამართლო 2000<sup>2</sup>, ფრანგი მედიატორი, იმისათვის რომ სწორად განისაზღვროს სამიზნე ჯგუფი, კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია და შეფასების პროცედურაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ზოგიერთმა სასამართლომ, მაგალითად ბერნის და ჟენევის (შვეიცარია) სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს მმართველი ჯგუფი. ამგვარი ჯგუფი შედგება სასამართლოს პროფესიონალებისაგან, სასამართლოს მომხმარებლებისა და გარე სპეციალისტებისაგან (აკადემიკოსები, მკვლევარები, და ა.შ.) მათ შეუძლიათ კითხვარის საბოლოო ვერსიაში შეიტანონ ცვლილებები სასამართლოს საჭიროებებიდან გამომდინარე.

თუმცა, საჭირო ხარჯებისა და რესურსებიდან გამომდინარე, ამგვარი ხარისხობრივი კვლევა არ არის ყოველთვის საჭირო; სექს - ს მიერ შემოთავაზებული ინსტრუმენტი ემყარება წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას და შესაძლოა ადაპტირებული იყოს კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად.

მიუხედავად იმისა, თუ რა გარემოები არსებობს, მმართველი ჯგუფის შექმნა განიხილება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის წარმატებულობის წინაპირობად, დამოუკიდებლად იმისა, უძღვის თუ არა მას წინ ხარისხობრივი კვლევა.

### 1.1. კითხვარისათვის ამოცანების, მეთოდოლოგიის და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა

კვლევის შედეგისას, პირველ რიგში მნიშვნელოვანია:

- დაკონკრეტდეს კვლევის საგანი (ობიექტი და სამიზნე ჯგუფები);
- განისაზღვროს კვლევის მეთოდოლოგია (მომხმარებლის დაკვირვება, ინტერვიუ, კითხვარი, და სხვა) და დეტალები (დროის განრიგი, რეგულარული და მოულოდნელი კვლევები, და სხვა);
- შეთანხმება თანამშრომლებთან კვლევის ამოცანების, ინდიკატორების და შედეგების გამოყენების შესახებ;
- ყველა შესაძლო პრობლემებთან გამკლავება;
- შესაბამისი შედეგების შეგროვება.

უნდა შეირჩეს ინდიკატორები, რომლითაც შეფასდება მომხმარებელთა აღქმები. გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლოს გარემოს ყველა ასპექტი (გარემო, ხარჯები, პროცედურების ხანგრძლივობა, მისაღები, და სხვა).

გარდა ამისა, ამ ეტაპზე შესაძლებელია განისაზღვროს რამდენად საჭირო იქნება დამოუკიდებელი ორგანოს ან მმართველი ჯგუფის ჩამოყალიბება. სავარაუდოდ, კვლევის ორგანიზატორებს უნდა აინტერესებდეთ სასამართლოსთან მჭიდრო თანამშრომლობა. თუ კერძო კომპანია ატარებს კვლევას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ხარჯები.

### 1.2. მომხმარებელთა სხვადასხვა ტიპის ჯგუფის დადგენა

პირველ რიგში, აუცილებელია მოხდეს გამოსაკითხი ხალხის შერჩევა, რაც დამოკიდებული იქნება მომხმარებელთა ჯგუფზე, კვლევის ტიპზე და თუ რამდენად დეტალური ინფორმაცია იქნება კვლევით გამოსაკვლევი.

<sup>1</sup> რაფაელ პელც, რა არის მართლმსაჯულების მომხმარებელთა მოლოდინები და საჭიროებები: პოლონეთის ომბუდსმენის გამოცდილება, სექს -ს კვლევის სესია,

<sup>2</sup> მარი-ლუ კავლუა, ჰუბერტ დალე და ჟან პოლ ჟანი, (eds), *La qualité de la justice*, Perspectives sur la Justice, Paris, La Documentation française, 2002, 269 p.

ეროვნული საზოგადოებრივი კვლევების შემთვევაში, როგორც მაგ. ტარდება საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში შერჩევა შეიძლება მოხდეს კრიტერიუმების ფართო ჩამონათვალიდან, სოციო-დემოგრაფიული ფაქტორების ჩათვლით (ასაკი, სქესი, სტატუსი, და სხვ.), ენის ფაქტორები, გეოგრაფიული წარმომადგენლობა და რამდენად არიან ეს ინდივიდები სასამართლოს უშუალო მომხმარებლები. ეროვნული კვლევების სამიზნე შესაძლოა იყვნენ კონკრეტულად სასამართლოს მომხმარებლები -სასამართლო პროცედურებისას მათი კონკრეტული სტატუსის მიხედვით.

კმაყოფილების კვლევები სასამართლოებში უნდა ჩატარდეს სასამართლოს მომხმარებელთა შორის. შერჩევა შესაძლოა კიდევ უფრო დავიწროვდეს იმის და მიხედვით თუ რა კონკრეტული საკითხი არის შესასწავლი. ასეთი შესაძლოა იყოს: მისაღები ან სარგისტრაციო სამსახური, სასამართლოს მუშაობა მთლიანად ან კონკრეტული ტიპის საქმეები (მაგ:საოჯახო საქმეები), ან თუ შესასწავლია მომხმარებელთა სპეციფიური კატეგორიები:

- მხარეები: ინდივიდები, რომლებიც ამჟამად არიან სასამართლო პროცესის მონაწილენი - მართლმსაჯულების საზოგადოებრივი სერვისის მომხმარებელთა ერთ კატეგორიას წარადგენენ. ისეთი ქვეყნები, როგორც არის კანადა, ჰოლანდია და შვეიცარია იყენებენ ტერმინს „მომხმარებელი / კლიენტი“, რაც მეტად კომერციულ დატვირთვას იძენს და ეს განპირობებულია იმით, რომ ხაზი გაესვას ერთ გარემოებას - ინდივიდი, რომელიც იყენებს სერვისს (მომხმარებელი, კლიენტი, ბენეფიციარი, და ა.შ.)
- ადვოკატები: ადვოკატთა ასოციაციაში დარეგისტრირებული ადვოკატები. შესაძლოა მოღვაწეობდნენ ერთ კონკრეტულ სასამართლოში, ან რამდენიმეში;
- სასამართლოში მომუშავე სხვადასხვა სახის პროფესიონალები და პროკურატურის სამსახურის წარმომადგენლები: მოსამართლეები, კლერკები, თანაშემწეები, სასამართლოს თანამშრომლები პროკურატურის თანამშრომლები, და სხვა.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, რომლებსაც ყველაზე ხშირი კონტაქტი აქვთ კონკრეტულ სასამართლოსთან (ნოტარიუსები და აღმასრულებლები);
- სხვა პროფესიონალები, რომლებსაც ხშირად იწვევენ სხვადასხვ საკითხზე დახმარების აღმოსაჩენად, ვისი წვლილიც საგრძნობლად აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე: ექსპერტი მოწმეები და თარჯიმნები.

### 1.3. მეთოდის შერჩევა

კმაყოფილების კვლევის რამდენიმე ტიპის მეთოდოლოგია არსებობს იმისდა მიხედვით, თუ რა არის ძირითადი ამოცანა - მომხმარებელთა მოსაზრების ძირითადი ტენდენციების დადგენა (ხარისხობრივი კვლევა), თუ კმაყოფილების დონეები წარმომადგენლობით შერჩევით კატეგორიებში (რაოდენობრივი კვლევა).

#### 1.3.1. ხარისხობრივი კვლევები

ხარისხობრივი კვლევები მეტად განმარტებითი ხასიათისაა და შეიძლება გამოყენებული იყოს მომხმარებელთა კმაყოფილების / მოლოდინის ტენდენციების დასადგენად. უფრო ზოგადად კი, ამ კვლევებმა, შესაძლოა, წინასწარი ინფორმაცია მოგვაწოდონ ხარისხობრივი კვლევისათვის.

შეიძლება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება:

- მომხმარებელთა დამოკიდებულებებსა და რეაქციებზე დაკვირვება უშუალოდ სასამართლოში;
- „მისტიური მყიდველი“, როდესაც ექსპერტი თამაშობს მომხმარებლის როლს (ტელეფონით, გამოკითხვით, და სხვა.);
- ინდივიდუალური ინტერვიუები, რათა დაფიქსირდეს მოსაზრებები და მოხდეს მომხმარებელთა მოტივაციის გააზრება, შემდგომში კითხვარის მომზადების მიზნით;

- ინტერვიუ მომხმარებელთა შერჩეულ ჯგუფთან, რათა დაფიქსირდეს მათი გამოცდილება და მოხდეს მათი შეხედულებების შედარება.

ეს მეთოდი საკმაოდ ძვირად ღირებულია, მოითხოვს დიდ თანხებს, სპეციალისტ ინტერვიუერს, თუმცა აუცილებელია ხარისხის სისტემებისათვის (ჰოლანდია). წინასწარი ხარისხობრივი კვლევის და რაოდენობრივი კვლევის გაერთიანებას მივყავართ მეტად დეტალურ და ყოვლისმომცველ შედეგებთან კმაყოფილების და / ან მოლოდინების საკითხებზე.

### 1.3.2. რაოდენობრივი კვლევები

რაოდენობრივი კვლევები გამოიყენება კმაყოფილების სტატისტიკური გაზომვისათვის წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე.

შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მეთოდი:

- თავად - ადმინისტრირებადი კითხვარები სასამართლოებში

მაგალითად: კითხვარები, რომელიც განთავსებულია სასამართლოების მისაღებში ან სასამართლო დარბაზიდან გამოსაღებში (ჰოლანდია (მომხმარებელთა კითხვარები), შვეიცარია (ბერნი), გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები).

ეს არის ყველაზე ნაკლებ ხარჯიანი მეთოდი, რომლითაც პასუხების მაღალი პროცენტული რაოდენობა შეიძლება მოგროვდეს. ჰოლანდიაში თავდაპირველად ჩატარებულ მომხმარებელთა კვლევებში, როდესაც კითხვარები ფოსტით იგზავნებოდა ან ტელეფონით ხდებოდა ადმინისტრირება, პასუხების ოდენობა 10 – 20 % შორის მერყეობდა. ადმინისტრაციული მეთოდის შეცვლის შემდეგ, (სასამართლო სხდომიდან გამოსვლისას ჩატარებული ინტერვიუები) გამოხმაურების მაჩვენებელი გაიზარდა 70 % მდე. თუმცა, სასამართლო დარბაზიდან გამომსვლელების მიერ კითხვარის შევსება შეიძლება იყოს სარისკო მიკერძოებული ინტერპრეტაციისას.

### თვით ადმინისტრირებადი საფოსტო ან ინტერნეტ კითხვარები

ეს მეთოდი ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, თუმცა გამოხმაურების მაჩვენებელი შეიძლება დაბალი იყოს, სპეციალური ცნობიერების ამაღლების კამპანიის გარეშე. ელექტრონული კითხვარი, რომელიც ან მეილით იგზავნება ან სპეციალურ ვებ გვერდზე თავსდება (ჰოლანდია 2009. კვლევა სასამართლოში ხელმისაწვდომობის პრობლემებთან დაკავშირებით), შვეიცარია (ჟენევა), გაერთიანებული სამეფო (რეგისტრის მომხმარებლები და მსაჯულები). კანადა და შეერთებული შტატები), არჩევს სპეციალურ კატეგორიას, ინტერნეტ მომხმარებლებს, რაც ბუნებრივია აისახება წარმომადგენლობითობაში (ასაკი, სოციალურ კულტურული დონე, და სხვ.). კითხვარების გავრცელების ამგვარი მეთოდი რეკომენდებულია პროფესიონალებს შორის პირდაპირი კვლევისას. ამ შემთხვევაში კი გამოხმაურების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, თუ შესაბამისი ახსნა განმარტებები და გარანტიები მიცემულია, ჰოლანდიის მსგავსად (პროფესიონალთა გამოკითხვა) და საფრანგეთი (2008 წლის გამოკითხვა პროკურორების და მოსამართლეების შესახებ).

ეს მეთოდი მოიცავს იმ მონაცემების გამოიყენებას, რომელიც ადგილობრივი კანონმდებლობით ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით არის რეგულირებული.

- სატელეფონო კითხვარები

ამ მეთოდს ბევრად მეტი დრო სჭირდება და მოითხოვს კვლევითი კომპანიის და / ან სპეციალისტი ინტერვიუერების დახმარებას, რათა მოხდეს კითხვარის ადმინისტრირება ტელეფონით (სულ მცირე ოცი წუთი თითო კითხვარზე). ეს გაცილებით ძვირად ღირებული მეთოდია, თუმცა მიღებული ინფორმაცია გამოიყენება აანლიზისათვის. (მაგალითები ავსტრია, ბელგია, ფინეთი (2008), საფრანგეთი (2001 და 2008 მომხმარებელთა კვლევები, 2006 წლის დაზარალებულთა კვლევა),

ჰოლანდია (სასამართლოს მომხმარებელთა პირველადი კვლევები) და ესპანეთი - 2008 სასამართლო კარიერის კვლევა).

- **ინტერვიუები სახლში ან სასამართლოს შიგნით**

ეს მეთოდი მოითხოვს კითხვარის გამოყენებას და პირისპირ ინტერვიუებს. ეს უფრო ძვირად ღირებული მეთოდია, რადგან მოითხოვს ინტერვიუების რეკრუტირებას და სპეციალიზირებულ ორგანოს რესურსებს. (მაგ.: ავსტრია, საფრანგეთი (1997წლის კვლევა), გერმანია, ჰოლანდია (2009 წლის კვლევა სასამართლოს ხელმისაწვდომობის შესახებ) და ესპანეთი - რეგულარული კვლევა და 2001 წლის კვლევა).

#### **1.4. კვლევის მომზადება**

##### **1.4.1. მენეჯმენტი და ადმინისტრირება**

სასამართლოს აპარატი ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაზე უნდა ჩაერთოს და უნდა დაარსოს მმართველი ჯგუფი (იხილეთ ზემოთ).

გარეშე ორგანიზაციების ჩართულობა, მათ შორის კვლევითი ორგანიზაციების (როგორც საფრანგეთში, რუმინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, კანადაში), გარე კონსულტანტები (ავსტრია, ირლანდია, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა) ან, ასეთების არსებობის შემთხვევაში - დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც გაზომვის ინსტრუმენტებს ქმნიან, როგორც არის კმაყოფილების კვლევა (ჰოლანდია (სააგენტო პრიზმა) და ამერიკის შეერთებული შტატები - სასამართლოების ეროვნული ცენტრი)), კითხვარების ადმინისტრირება, დიზაინსა თუ დამუშავებისას - პროცედურას უფრო პროფესიონალურს ხდის. თუმცა, ბუნებრივია ყოველივე დამოკიდებულია, თუ რა რესურსები გააჩნია სასამართლოს. თანამშრომლობა უნივერსიტეტთან და / ან კვლევის ჯგუფებთან საუკეთესო გამოსავალია. (როგორც ალბანეთში, ფინეთში და ესპანეთში).

##### **1.4.2. კვლევის ვადები**

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორს წარმოადგენს მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა. ამის საფუძველზე უნდა გადაწყდეს - უმჯობესია კითხვარის გაგზავნა შეტყობინებასთან ერთად, კითხვარის განთავსება სასამართლოს მისაღებში მაგიდაზე, კითხვარის შევსება სასამართლო დარბაზიდან გამოსვლისას, სასამართლოს ვებ გვერდზე განთავსება ან ფოსტით ან მეილით გაგზავნა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულმა სასამართლომ, გააფრთხილოს მომხმარებლები წინასწარ, რათა მათ ჰქონდეთ ამ პროცესში ჩართულობის განცდა.

##### **1.4.3. კითხვარის შინაარსი: მეთოდოლოგია**

კითხვარს თან უნდა ერთვოდეს წინასწარი ინფორმაცია კონკრეტული მითითებით - თუ ვინ აფინანსებს კვლევას და რა არის კვლევის მიზანი. აქვე უნდა იყოს ხაზგასმული, რომ უზრუნველყოფილი იქნება კონფიდენციალურობა და მიღებული ინფორმაციის გამოყენებისას ეთიკურობის პრინციპების დაცვა.

კითხვარის შინაარსი დიდწილად იქნება დამოკიდებული გამოსაკვლევი თემის სპექტრზე, იმ სერვისის ასპექტებზე, რისი შეფასებაც გსურთ (მისაღები, სისწრაფე, ეფექტიანობა, ხელმისაწვდომობა, და სხვ.). უნდა გამოამკარავდეს მომხმარებელთა შთაბეჭდილებები სასამართლოს შესახებ, ამგვარად გამოირკვას სუსტი და ძლიერი მხარეები, რათა გადაიხედოს და დაიხვეწოს სერვისის მიწოდების მეთოდები.



კითხვარი უნდა იწყებოდეს შესავალი ნაწილით, სადაც იქნება უფრო მარტივი კითხვები, რათა მოიპოვოს მომხმარებელთა ნდობა და ასევე მომხმარებელთა შესახებ უფრო კონკრეტული ინფორმაცია მოაგროვოთ დამფინანსებელისათვის (ასაკი, სქესი, პოზიცია, უშუალოდ მომხმარებელი, იშვიათი მმხმარებელი, და სხვ.).

შემდეგ, **კითხვარის მთავარი თემები** უნდა იყოს დალაგებული ქვესათაურების მიხედვით, დაწყებული სერვისის უფრო ზოგადი აღქმის შესახებ და შემდგომ უფრო კონკრეტული ასპექტების შესახებ, როგორც არის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, სასამართლოს შესაძლებლობები ან სასამართლოს ფუნქციონირება (მისაღები, კონტაქტი მოსამართლეებთან და პროკურორებთან, და სხვ.). შერჩეული თემები უნდა შედგებოდეს საკითხთა ჩამონათვალისაგან, სადაც მარტივი და შედარებითი მგრძობიარე კითხვები ენაცვლება ერთმანეთს.

**კითხვარის ფორმა** უნდა იყოს ისეთი, რომ ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყნების სასამართლოებმა შეძლონ მისი ადაპტირება. ის უნდა შედგებოდეს ადვილად დამუშავებადი, დახურული კითხვებისა თუ ფრაზებისაგან, რასაც საჭიროებისამებრ, შესაძლოა თან ერთვოდეს ღია კითხვები მომხმარებლისათვის, რომელთაც სურთ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება ისეთ კონკრეტულ საკითხზე, რომელიც არ იყო ასახული კითხვარში. თუმცა, ღია დაბოლოების კითხვები უნდა იყოს შეზღუდული, რათა არ გართულდეს შემდგომ მათი დამუშავება.

კითხვარი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფიქსირებულ ნაწილს ძირითადი ინდიკატორებით, რომელიც საერთოა ევროპის ყველა სასამართლოსათვის და ადვილად ადაპტირებადი პროცედურულ მოთხოვნებთან. მასში შესაძლოა ასევე იყოს რეგულირებადი ნაწილები, იმისათვის, რომ მხედველობაში იყოს მიღებული ქვეყნებისა და სასამართლოების სპეციფიური მახასიათებლები. გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლოს მენეჯერების მოსაზრება არსებულ ძირითად პრობლემებთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, გამოყენებული ენა უნდა იყოს მკაფიო (მოკლე წინადადებები, ბუნდოვანების გარეშე), ნეიტრალური (ნეგატიური წინადადებების და ემოციური სიტყვების გარეშე) და ადვილად გასაგები ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყნის სასამართლოების მომხმარებელთათვის. სტანდარტული კითხვარების თარგმანიც შესაბამისად უნდა გაკეთდეს ძალიან ყურადღებით, რათა მაქსიმალურად შესაბამისი ფრაზები იყოს გამოყენებული ეროვნულ დონეზე.

#### **1.4.4. კითხვარის გავრცელება**

კითხვარის ადმინისტრირება შესაძლოა მოხდეს ქაღალდის ასლებით ან ელექტრონულად. ელექტრონული კიოსკების საშუალებით. აგრეთვე შესაძლებელია მათი შედგენა ელექტრონულ ფორმატში.

#### **1.4.4. გამოხმაურების შკალა**

შესაძლოა გამოვიყენოთ სხადასხვა სახის გამოხმაურების შკალა. ზოგიერთი შკალა მომხმარებელს საკითხის არჩევას სთავაზობს... როგორც ეს არის მოცემული კანადაში ჩატარებულ კმაყოფილების კვლევაში).

ზოგიერთი იყენებს პასუხების გრადაციას (შეავასე თითოეული პასუხი 1 დან...). სხვა შკალა შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც გვსურს მარტივი ორ შკალიანი პასუხის მიღება (კმაყოფილი / უკმაყოფილო; კი / არა) ან უფრო დეტალური პასუხის შესაძლებლობა მივცეთ, უფრო დიდი გრადაციით (0 დან 10 მდე ან კმაყოფილების შკალა დაწყებული „ძალიან კმაყოფილი / სრულიად ვეთანხმები, და ძალიან უკმაყოფილო / სრულიად არ ვეთანხმები - როგორც ეს არის გამოყენებული ბრიტანულ და ამერიკულ კვლევებში).

ქენევის (შვეიცარია) სასამართლოებში ჩატარებული კვლევები არის განსაკუთრებით ღირებული. ეს კვლევები შესაძლებელს ხდის გავზომოთ ცდომილება მომხმარებელთა მოლოდინებსა და მათ კმაყოფილებას შორის. რისთვისაც ორმაგი შეფასება გამოიყენება (მნიშვნელობა და კმაყოფილება).

### 1.5. შედეგების ჩაწერა და ანალიზი

კვლევების უმრავლესობა, როგორც წესი, დასკნით ნაწილში გარე ორგანიზაციებს გადაეცემათ შედეგების გაანალიზების, ანგარიშის და საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების მოსამზადებლად. ამიტომაც, უმჯობესია მმართველმა ჯგუფმა უზურუნველყოს საჯარო ან კერძო **გარე ორგანიზაციის** ჩართულობა, და ამასთანავე შედეგების ობიექტურად გაანალიზების და ანონიმურობის დაცვის კიდევ უფრო მეტი გარანტიები.

ამასთანავე, მმართველმა ჯგუფმა აუცილებლად უნდა შექმნას **შუარგოლი / საკონტაქტო პირები** სასამართლოში (მაგალითად, სასამართლოს აპარატი, ამ კონკრეტული მიზნებისათვის გამოფილი) რომლებიც მეთოდოლოგიურ დახმარებას გაუწევენ მომხმარებელს საჭიროების შემთხვევაში. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს სასამართლო აპარატის ჩართულობა თამაშობს.

კვლევის ვადებიდან გამომდინარე, აუცილებელია წინასწარი შეთანხმება, **თუ რა სიხშირით** უნდა მოხდეს პასუხების შეგროვება, უნდა შეგროვდეს კითხვარები მისაღებებში განთავსებული ყუთებიდან თუ ფოსტით ან მეილით. კმაყოფილების ხარისხის გაზომვა და შედარებაც უნდა მოხდეს შესაბამისი დროის ინტერვალით (დღე, კვირა, თვე, და სხვ.)

შეესებული კითხვარები უნდა შეგროვდეს რეგულარულად და ცხრილების და გრაფების საშუალებით მოხდეს მათი დამუშავება საანგარიშო მიზნებისათვის. მონაცემთა დათვლის ისეთი მეთოდი უნდა იყოს შერჩეული, რომ შესაძლებელი იყოს პასუხების დაჯგუფება მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით (ასაკი, პროფესია, სასამართლოს მომხმარებლის სოციალური სტატუსი, და სხვა). კვლევის ამოცანა აგრეთვე უნდა იყოს ცდომილების დადგენა სასამართლოს მომხმარებელთა მოლოდინებსა და მათ კმაყოფილებას შორის - თითოეული ფაქტორის შეფასებისას.

### 1.6. ანგარიში შედეგებსა და რეკომენდაციებზე

ადმინისტრირება და უკუკავშირის კომუნიცირება კვლევის პროცესის განუყოფელი ნაწილია და სასამართლოს გეგმის და ხარისხის მართვის კამპანიის ნაწილი უნდა იყოს. რაც გულისხმობს კომიტეტის შექმნას, რომელიც შედეგების და რეკომენდაციების გავრცელებას უზრუნველყოფს (ანგარიშის სახით), სადაც ხაზგასმული იქნება სამოქმედო პრიორიტეტები.

კომუნიკაცია უნდა მოხდეს როგორც შიგნით (ზეპირი პრეზენტაცია, სადიკუსიო შეხვედრები), აპარატის თანამშრომელთა ჩართულობით, სადაც პრაქტიკული გამოსავლის ძიება მოხდება, და ასევე მომხმარებლებთან (მადლობის წერილები, საინფორმაციო კამპანიები, შედეგების გამოქვეყნება სასამართლოს მისაღებში, და ასე შემდეგ). ამგვარად, ისინი ინფორმირებულნი და ჩართულნიც კი არიან სრულყოფისაკენ მიმართულ ღონისძიებებში.

ედ ჰოკ (არა რეგულარული) კვლევები არ ითვლება საკმარისად აღნიშნული მიზნებისათვის, პროცესი უნდა განმეორდეს რეგულარულად რათა გაიზომოს კმაყოფილების დონეების ცვალებადობა. პროცესის და შედეგების გაშუქება მედიის მიერ ეხმარება სასამართლოს გაძლიერებასა და გარე მხადაჭერის მოპოვებაში.

### 1.7. კვლევის სხვა მეთოდების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში

ძირითად კვლევასთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნას გაზომვის სხვა ტექნიკები, როგორც არის სარკისებრი კვლევები ან „მისტიური მყიდველი“.

### 1.7.1. შიდა ხედვა ან შეფასება კოლეგების მიერ

ეს მეთოდი გულისხმობს მოსამართლეების მიერ ერთმანეთის შეფასებას მენეჯმენტის ჩარჩოებს მიღმა. ჰოლანდიიდან გადაღებული მოდელის ტექნიკა გულისხმობს, რომ მოსამართლეების მიერ შემდგარი წყვილები აკვირდებიან ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობას, მისი გაუმჯობესების მიზნით. რაც თავისთავად ხარისხის შეფასების და გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ნაწილია.

საფრანგეთის რამდენიმე სასამართლომ დაიწყო პრაქტიკის ამ მიმართულებით განვითარება ბოლო 10 წლის განმავლობაში.<sup>3</sup>

### 1.7.2. სარკისებრი კვლევები

სარკისებრი კვლევების დროს სასამართლოს აპარატი აფასებს მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს ან მოუწოდებს მათ გადახედონ საკუთარ საქმიანობას (მაგალითები: 2008 წლის საფრანგეთის სასამართლოს სერვისის კომისიის მიერ ჩატარებული კვლევა; რუმინეთის კვლევა სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ).

აღნიშნული მეთოდი შესაძლებელს ხდის მომხმარებელთა კმაყოფილების დონისა და სასამართლოს აპარატის მიერ აღქმული კმაყოფილების დონის შედარებას. ამ მეთოდის დადებით მხარეს ასევე წარმოადგენს სასამართლო აპარატის აქტიური ჩართულობა შეფასების პროცესში.

### 1.7.3. „მისტიური მყიდველი“

მისტიური მყიდველი არის ტექნიკა, რომელიც სულ მეტად გამოიყენება მომხმარებელთა კმაყოფილების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. „მისტიური მყიდველი“ არის ადამიანი, რომელსაც გზავნი სპეციალისტი და რომელიც მომხმარებლის სტატუსით აფასებს მომსახურებისა და მისაღების სტანდარტებს. ამ პიროვნებას გადაეცემა სპეციალური შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაეგზავნება სპონსორს, ხშირად კითხვარის ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებში პრაქტიკა ჯერ კიდევ არაერთგვაროვანია, ზოგიერთი ქვეყანა, როგორც არის ირლანდია იყენებს ამ მეთოდს სასამართლოს თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის და სამუშაო გარემოს შესაფასებლად. ირლანდიის სასამართლოების მიერ დაფინანსებული „მისტიური მყიდველის“ კვლევა ჩატარდა სასამართლო შენობებში, ტელეფონის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით და პოზიტიური შედეგები აჩვენა სასამართლოს აპარატის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეების მიღების საკითხებზე.

---

<sup>3</sup> რუანის სასამართლოები. ამ პილოტიური პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ცხრილი, რომელშიც მეთოდები და ჩარჩოები არის დაზუსტებული.

## 2. სანიმუშო კითხვარები სასამართლოს მომხმარებელთა კვლევების ჩასატარებლად

სექს -ს პრიორიტეტს წარმოადგენს სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარის შემუშავება, ინდივიდების წრე კი შემოიფარგლება იმ ადამიანებით, ვისაც რეალური შეხება ჰქონია სასამართლოებთან და მეორე კითხვარი კი უშუალოდ ადვოკატებისათვის არის გამიზნული.

კვლევა ისე არის შედგენილი, რომ ის შეიძლება **ორ მიზანს** ემსახუროდეს, რაც განაპირობებს ამ კვლევის ჩატარების მითოდს:

- სასამართლოს შიდა მოხმარებისათვის, როგორც სერვისის მიწოდების გეგმის და / ან ამ სერვისის გაუმჯობესების ინიციატივის ნაწილი: სასამართლოს აპარატი სრულად იქნება ჩართული იმპლემენტაციაში და კვლევის შემდგომ რეაგირებაში.
- მსგავსი სასამართლოების შედარება და მიმოხილვის ხელმისაწვდომობა, რაც თავისთავად საშუალებას მისცემს წევრ სახელმწიფოებს ერთგვაროვანი მიდგომები განავითრონ. ეს უკანასკნელი კი, საბოლოო ჯამში შესაძლებელს გახდის სექს-ს ფარგლებში ჩატარდეს მასშტაბური კვლევა ერთდროულად ყველა წევრ ქვეყანაში.

რაც შეეხება პრაქტიკულ დეტალებს, ხარჯების დაზოგვის, შესაბამისობის უზრუნველყოფისა და პერსონალური მონაცემების შემცველი ბევრი ფაილის შექმნის თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული კითხვარის შევსება შესაძლოა მხოლოდ სასამართლოში გამოძახებულ ან სხვა მიზეზით მოსულ ადამიანებს შესთავაზოთ. აუცილებელი თუ არა, სულ მცირე რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოში მისაღების თანამშრომლის დახმარება. უნდა განთავსდეს ყუთები პასუხების შესაგროვებლად და თუ საჭიროა, მზა კონვერტები (მისამართით და ბეჭდით), მათთვის, ვინც არ აპირებს კითხვარის შევსებას სასამართლოში. ბუნებრივია, ანონიმურობა კვლავ დაცული უნდა იყოს.

კვლევა ეფუძვნება დახურულ შეკითხვებს, თუმცა ემატება ერთი ღია ტიპის შეკითხვა. მასში არის ფიქსირებული ნაწილი, რომელიც სრულიად აუცილებელ ელემენტებს შეიცავს, და ამასთანავე შესაძლებელი უნდა იყოს მისი მორგება ყველა ქვეყნის პროცედურული თავისებურებებისათვის. ეს ინფორმაცია უზრუნველყოფს დამუშავების გონივრულ სტანდარტს და ასევე სასამართლოების შედარების შესაძლებლობას ქვეყნის შიგნით და ერთზე მეტი ქვეყნის სასამართლოებს შორისაც. ამ კითხვარს შეიძლება თან ერთვოდეს ადაპტირებადი ნაწილი, სადაც ასახული უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის კულტურული თავისებურებები და ასევე სასამართლო მენეჯერების მოსაზრება არსებული ძირითადი პრობლემების შესახებ.

კითხვარის შედეგების დამუშავებისას, რეკომენდებულია მარტივი ცხრილის გამოყენება (მაგალითისათვის პროგრამა **Open Office** ). ამგვარად, ძალიან ადვილი იქნება კითხვარის გამოყენება, ადაპტირება, შედეგების დამუშავება ან სექს-ეს სამდივნოს ან ეროვნულ დონეზე სასამართლოების მიერ.

მომხმარებლების და ადვოკატების კითხვარს შესაძლოა თან ერთვოდეს უფრო სპეციფიური კითხვარები, რომლის ადმინისტრირებაც ცალკე ხდება. ამგვარად, სასამართლოს სისტემა ახერხებს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ისეთი სპეციფიური კატეგორიების მოთხოვნები, როგორც არიან მსაჯულები, მოწმეები და დაზარალებულები.

სასამართლოს მომხმარებელთა კვლევების სანიმუშო კითხვარები  
სასამართლოს ფუნქციონირების შეფასება

\_\_\_\_\_<sup>4</sup> მა ჩვენ დაგვიკვეთა, რომ გავიგოთ თქვენი აზრი -----სასამართლოების მიერ  
მოწოდებული სერვისის შესახებ

თქვენი მოსაზრებები და წინადადებები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს იმ  
სერვისის ხარისხი, რომელსაც მოქალაქე იღებს სასამართლოსგან

**\*შენიშვნა ადგილობრივი კვლევების მენეჯერებისათვის კითხვარების დარიგებისა და პასუხების  
შეგროვებისას არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა:**

- 1) რიგდება სასამართლოს შიგნით  
გთხოვთ შეავსოთ კითხვარი და შემდეგ მოათავსოთ ის სასამართლოს მისაღებში  
განთავსებულ ყუთში. გთხოვთ გამოიყენოთ დალუქული კონვერტი
- 2) თუ იგ ზავდება სასამართლოს შეტყობინებებთან ერთად  
გთხოვთ უპასუხოთ შეკითხვებს და გამოგ ზავნოთ სასამართლოს მისამართზე წინასწარ  
გადახდილი კონვერტით.

შენიშვნა: თუ კითხვარი დარიგდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით  
შეგიძლიათ გვიპასუხოთ ინტერნეტის მეშვეობით, დოკუმენტზე მითითებულ მისამართზე. ეს  
მისამართი არის უსაფრთხო და ანონიმურობა გარანტირებულია.

თქვენი პასუხების სრული კონფიდენციალობა გარანტირებულია. ეს კვლევა არის ანონიმური.

**\*შენიშვნა კვლევის მენეჯერებისათვის.** ძირითადი კითხვარი, რომელიც შედგება 27 მარტივი და  
რამდენიმე ღია შეკითხვისაგან, წარმოადგენს სტანდარტულ ფორმატს, რომელიც საერთოა წვერი  
ქვეყნების ყველა სასამართლოსათვის. მეტად კონკრეტული ან ქვეყნისათვის სპეციფიკური  
კითხვები, შესაძლოა, დაემატოს მეორე ნაწილში, მსგავსი კითხვების მაგალითებიც  
შემოთავაზებულია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრაქტიკული კითხვარი უნდა შედგებოდეს  
შეზღუდული რაოდენობის კითხვებისაგან, რომელზეც მომხმარებელი სწრაფად უპასუხებს.

<sup>4</sup>კომისიის წარმომადგენლობა.

**გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი პასუხი:**

1. თქვენი ასაკი:  18დან 30 მდე  31 დან 50 მდე  51 დან 65 მდე  65-ს მაღლა

